ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 1325344001**

თარიღი:**10/12/2025**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუქნტის შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნეს ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, 2026 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადება დანართის შესაბაბისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.#60ა.)

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	**2026** წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	კატეგორია	სავარაუდო ღირებულება
1	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქალაქ ახალციხეში გვარამაძის ქუჩის რეაბილიტაცია	გზა	1 115 317,00
2	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქალაქ ახალციხეში დიდიმამიშვილის ქუჩა N1-ში მდებარე მრავალბინიანი შენობის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები	შენობა-ნაგებობა	346 448,66

საკრებულოს თავმჯდომარე- საბა კბილაშვილი